

დანართი №1

2015 წლის 01 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ.№2-15 (CMR150212232) ხელშეკრულებაზე

თბილისი

14.01.2016წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის **მაია ქალიაშვილის** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და **შპს „პროექტირება მშენებლობა ექსპერტიზა“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსი ბურდულაძის** სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს 2016 წლის 13 იანვრის 185-2 მოხსენებითი ბარათისა და ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.5 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე, საავტომობილო გზის ორივე მიმართულებით (3 კილომეტრის მანძილზე), მომსახურების კომპლექს(ებ)ის საავტომობილო გზასთან მიბმის მიზნით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მონაკვეთებზე შემანელებელ-ამაჩქარებელი ზოლის მოწყობისათვის, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევის შესახებ მხარეთა შორის 2015 წლის 01 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ.№2-15 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტში, სადაც მოცემულია ხელშეკრულების საგანი, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე, საავტომობილო გზის ორივე მიმართულებით (3 კილომეტრის მანძილზე), მომსახურების კომპლექსის საავტომობილო გზასთან მიბმის მიზნით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მონაკვეთზე შემანელებელ-ამაჩქარებელი ზოლის მოწყობისათვის, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევა (CPV-71320000) - შემდგომში მომსახურება“.

2. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

3. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

4. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
მაია ქალიაშვილი



(Handwritten signature of Maia Kaliazhvili)

მიმწოდებელი
შპს „პროექტირება მშენებლობა ექსპერტიზა“
დირექტორი
ალექსი ბურდულაძე



(Handwritten signature of Alexei Burdula)